



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:
“მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”

კონკურსი: ტრენინგების მოდულის შემუშავება და ტრენინგების ჩატარება

თემა: საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარების გაუმჯობესება ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით.

1. შესავალი

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ მიზნად ისახავს, გაამდიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროექტს სამი კონკრეტული ამოცანა აქვს:

1. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალობა და არასახელმწიფო დაფინანსების გამრავალფეროვნება, ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის პოპულარიზაცია.
2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მათ სამიზნე აუდიტორიას შორის კავშირების გამყარება, მათ შორის, სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაცია, საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული საქმიანობის წახალისება.
3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება და სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციური გაძლიერება ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით ზედამხედველობისა და ადვოკატირების თვალსაზრისით.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).



2. გამოცდილება

Covid-19-ის პანდემიამ დაგვანახა, რომ, როდესაც საქმე ეხება ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას საზოგადოებასთან ურთიერთობის, საზოგადოების მობილიზაციისა და კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიასთან (ბენეფიციარები, მოხალისეები, მიმდევრები, მხარდამჭერები, სპონსორები, ფილანტროპები, კეთილგანწყობილი ადამიანები და ა.შ.) კომუნიკაციისთვის, სამოქალაქო საზოგადოებაში ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობაა. მხარდამჭერებთან სათანადო კომუნიკაცია, თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით იმ გამოწვევების გადაჭრის გასაღებს წარმოადგენს, რომლის წინაშეც დღეს დგას არაკომერციული სექტორი. კერძოდ, სათანადო კომუნიკაცია გულისხმობს:

- ა) ზოგადად სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობისა და აღქმის გაუმჯობესებას;
- ბ) საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სათემო და საინიციატივო ჯგუფებისთვის რეგულარული მხარდამჭერებისა და მოხალისეების კოჰორტის შექმნას;
- გ) მხარდამჭერების წინაშე გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შენარჩუნებას;
- დ) საზოგადოების, ადგილობრივი ბიზნესებისა და შემომწირველების მოზიდვასა და მობილიზებას, რათა მათ ფინანსურად ან მატერიალურად მხარი დაუჭირონ სხვადასხვა ინიციატივებს, აგრეთვე მოხალისეთა და ქრაუდფანდინგის კამპანიებს, ადგილობრივი პრობლემების ადვოკატირებისა და გადაჭრისათვის, განსაკუთრებით კი კრიზისულ სიტუაციაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, CSRDG გეგმავს, შეიმუშაოს ტრენინგების მოდული საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარების გასაუმჯობესებლად, აქცენტით ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე. ასევე, ჩაატაროს ტრენინგების სერია, რათა აღჭურვოს ახალგაზრდები, სამოქალაქო აქტივისტები, საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები საზოგადოებასთან გაუმჯობესებული ურთიერთობის, მხარდამჭერების მოზიდვისა და მოხალისეობრივი ან ქრაუდფანდინგის კამპანიების ორგანიზების საჭირო უნარებით. ჩვენ გვჯერა, რომ ახალი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ერთის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი, სათემო ორგანიზაციებისა და ჯგუფების გაძლიერებასა და მათი შესაძლებლობების განვითარებას; ხოლო მეორეს მხრივ, გააუმჯობესებს სამოქალაქო სექტორის მოქნილობასა და ფინანსურ მდგრადობას.

აქტივობის სამიზნე ჯგუფი დაახლოებით 150 ადამიანია, რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სათემო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები, სამოქალაქო აქტივისტები და ახალგაზრდები. მისი განხორციელება გათვალისწინებულია 2022 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

3. დავალების მიზანი

ამ დავალების მიზანია შეარჩიოს ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია, რომელიც შეიმუშავებს ტრენინგების მოდულს საზოგადოებასთან ურთიერთობის (public outreach), მხარდამჭერების მოზიდვის (constituency building) და მობილიზაციის თემაზე, აქცენტით ციფრულ ინსტრუმენტების გამოყენებაზე და შემდგომში ჩაატარებს აღნიშნულ ტრენინგ სესიებს.

4. სამუშაოს აღწერილობა

შერჩეულმა პირმა/ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ტრენინგ მოდული შემდეგზე:

- მხარდამჭერების/დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მოზიდვა;
- მოხალისეთა მოზიდვა;
- ქრაუდფანდინგის კამპანიების ორგანიზება (განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში);
- საკომუნიკაციო არხების გამოყენება ინფორმაციის გაზიარებისა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან დაკავშირებისთვის;
- ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება გაუმჯობესებული კომუნიკაციისთვის.

ამასთანავე, შერჩეულმა კანდიდატმა უნდა ჩაატაროს 10 ორდლიანი ტრენინგი სამიზნე ჯგუფებთან, სადაც წარმოდგენილი იქნებიან რეგიონალური საზოგადოებრივი, სათემო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების წევრები, ახალგაზრდები და სამოქალაქო აქტივისტები.

5. მოვალეობები

- ტრენინგის მოდული ფიზიკურ სივრცეში ჩასატარებელი ტრენინგებისთვის (COVID-19 სიტუაციიდან გამომდინარე, ზოგიერთი ტრენინგი შეიძლება ჩატარდეს ონლაინ);
- 10 ორდლიანი ტრენინგი;
- ტრენინგის შეფასების ანგარიშები

6. სავალდებულო ძირითადი უნარები, ტექნიკური ცოდნა და გამოცდილება

მინიმუმ ოთხ წლიანი პრაქტიკა სატრენინგო მოდულების შემუშავებასა და ჩატარებაში, მათ შორის ონლაინ ფორმატში ტრენინგები ჩატარების გამოცდილებაც. სხვადასხვა ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების, რესურსების მობილიზებისა და მხარდამჭერების მოზიდვის პრაქტიკული გამოცდილება.

7. დავალების ხანგძლივობა

დავალების ხანგძლივობაა 2022 წლის 1 აპრილიდან -2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

8. შერჩევის კრიტერიუმები

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- ა) ტექნიკური შეთავაზება, სადაც დეტალურადაა აღწერილი ტრენინგის მეთოდოლოგია და პროგრამა (პროგრამა საბოლოო სახით მომზადდება დამკვეთთან კონსულტაციის საფუძველზე და მასთან შეთანხმებით)
- ბ) ორგანიზაციის/ფიზიკური პირის შესატყვისი გამოცდილების აღწერა
- გ) დავალების ბიუჯეტი

ტრენინგის მეთოდოლოგია:	10 ქულა
სასწავლო პროგრამა:	20 ქულა
შესაბამისი გამოცდილება:	10 ქულა
ბიუჯეტი:	10 ქულა

9. განაცხადის წარდგენის ვადები

განაცხადების ელ-ფოსტით გამოგზავნის ბოლო ვადაა **2022 წლის 25 მარტი, 24:00 საათი.**

დაგვიანებით წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.

კონკურსის დროს მიღებულ დოკუმენტებს CSRDG მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან პროექტის დამფინანსებლის მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული შემთხვევებისა.

10. საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ:

- დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: tamar.germanashvili@csrdg.ge
საკონტაქტო პირი: თამარ გერმანაშვილი, პროექტის მენეჯერი